



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

29

06

„-----“ 2016 წელი

ეგზ N1

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N36/36

2013-2014 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
რეკომენდაციები.....	4
აუდიტის მიზანი	6
აუდიტის მასშტაბი.....	6
აუდიტის საგანი.....	6
კრიტერიუმები.....	6
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა.....	8
1. შემოსავლები.....	10
2. ძირითადი აქტივები.....	12
3. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები	15
4. ხარჯები.....	16
5. შესყიდვები	19
აუდიტორთა ხელმოწერები:	23

შემაჯამებელი მიმოხილვა

- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაფუძნებიდან ყოველ წელს ამთავრებს უარყოფითი ფინანსური შედეგით (სახელმწიფოს მიერ გადაცემული სუბსიდიებისა და ფულადი შენატანების გარეშე), რაც მისი არსებობის 5 წელიწადში 10 მილიონიდან 76 მილიონამდე გაიზარდა. (გვერდი 8)
- კომპანიას 3,208,567 ლარის ღირებულების მიწა ზედმეტად აქვს ასახული აქტივებში. (გვერდი 13)
- კომპანიის აქტივებში ირიცხება 16,126 ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაო, თუმცა კომპანიაში არ მოიპოვება ინფორმაცია აღნიშნული პროექტის არსებობის შესახებ. (გვერდი 13)
- კომპანიის კაპიტალში შეტანილი ხაზოვანი ნაგებობების დიდი ნაწილის არათუ ზუსტი მდებარეობა, არამედ მილის დიამეტრიც კი არ არის ცნობილი. კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს, შესაბამისი აქტივების არსებობის და სისრულის მტკიცების დადასტურებას. (გვერდი 13)
- 2013-2014 წლებში კომპანიამ სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისგან“ 375,063 ლარად შეისყიდა აზომვის მომსახურება, რისი მიზანიც იყო კომპანიის ძველი ქსელების დაზუსტება და საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაცია, თუმცა ძველი ქსელები საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. შემდგომ პერიოდში კომპანიის მიერ სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ მიერ შესრულებული სამუშაოების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა სხვაობები როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა კომუნიკაციების კოორდინატებს შორის. (გვერდი 14)
- კომპანიის ხელმძღვანელობას 2013 წლის ივლისსა და დეკემბერში დანამატის სახით მიღებული აქვს 219,650 ლარი, რაც მათივე წლიური თანამდებობრივი სარგოს 99% შეადგენს. (გვერდი 16)
- საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე კომპანიამ გამარტივებული წესით შეისყიდა 1,012,836 ლარის ღირებულების წყლის მრიცხველების მოწყობის სამუშაოები. აქედან 772,836 ლარის სამუშაოებზე ვერ დასტურდება გამარტივებული წესით შესყიდვის აუცილებლობა. (გვერდი 20)
- შპს „GM HIDRO“-ს 379,013 ლარის ღირებულების ხელშეკრულების საფუძველზე უნდა განხორციელებინა ბაკურიანში ხელოვნური თოვლის საწარმოებლად წყალმომარაგებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები. კომპანიის მიერ ანაზღაურებულია კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების 90%, თუმცა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ ვერ დაადგინა რამდენად შეესაბამება გადახდილი თანხა ფაქტობრივ დანახარჯებს, რადგან მიმწოდებელმა ექსპერტიზას ვერ წარუდგინა შესრულებული სამუშაოების ანგარიშები ეკონომიკის მინისტრის 12.02.2012 წლის N1-1/1463 ბრძანების შესაბამისად. (გვერდი 20)
- 2013 წლის 12 სექტემბერს კომპანიამ 127,866 ლარად შეისყიდა იმავე წელს გამოშვებული მაღალი გამავლობის ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200“, რომელიც 2014 წლის ნოემბერში გადაეცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნული ავტომანქანა გადასცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომელსაც მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა ისეთი ღირებულების ავტომანქანით, რასაც ზღუდავდა მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება. (გვერდი 21)
- შპს „ჰაუსარტ პროექტისთვის“ კომპანიის ახალი სათაო ოფისის შენობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე 2012-2015 წლებში კომპანიას გადახდილი აქვს 247,516 ლარი, თუმცა სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ბოლოსათვის არ დაწყებულა. (გვერდი 22)
- შპს „სტუდიო ლაინის“ მიერ 2014 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა კომპანიის საიმიჯო კლიპის გადაღება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 33,900 ლარი, თუმცა აღნიშნული კლიპი კომპანიის მიერ აუდიტის პერიოდში არ გამოყენებულა. (გვერდი 22)

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უარყოფითი ფინანსური შედეგები და გაანალიზოს მათი გამომწვევი მიზეზები. ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი ლარის დაზოგვის მიზნით, სამინისტრომ იმსჯელოს კომპანიის ხარჯების ოპტიმიზაციაზე და განიხილოს ყველა შესაძლო ალტერნატივა.

რეკომენდაცია N2

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობისა და სამომავლო გეგმების სრულყოფილი ანალიზის მიზნით, კომპანიის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილ ბიზნეს-გეგმებში მკაფიოდ აისახოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N3

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შემოსავლების სრულად და ზუსტად აღრიცხვის მიზნით დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი აბონენტების გადამოწმებას, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ სარგებლობენ კომპანიის მომსახურებით. კონტროლის მექანიზმის დანერგვამდე კომპანიამ ჩაატაროს ამ კონტროლის დანერგვისთვის გასაწევი ხარჯებისა და მისგან მისაღები სარგებლის ანალიზი.

რეკომენდაცია N4

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ საკუთრებაში არსებული აქტივების არსებობის დადგენის მიზნით, განახორციელოს ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება და საკუთრების რეგისტრაცია. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში განიხილოს დამფუძნებელთან, მათი შემდგომში ბალანსზე არსებობის საკითხი.

რეკომენდაცია N5

საბალანსო ნაშთების სწორად წარმოდგენის მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მოახდინოს ბალანსზე ზედმეტად ასახული 3,208,567 ლარის მიწის კორექტირება ბუღალტრულ ჩანაწერებში.

რეკომენდაცია N6

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ 231,635 ლარის ღირებულების არასწორად ასახულ აქტივებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში მოახდინოს სათანადო კორექტირება.

რეკომენდაცია N7

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვერ სარგებლობს 375,063 ლარის ღირებულების აზომვითი სამუშაოების მასალებით, კომპანიამ უზრუნველყოს სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ მიერ შესრულებული აზომვითი სამუშაოების იმგვარად დაზუსტება, რომ შესაძლებელი გახდეს ძველი ქსელების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ზომები გაწეული ხარჯების დაბრუნების მიზნით.

რეკომენდაცია N8

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მივლინების ხარჯების მიზანშეწონილობის შესაფასებლად, დანერგოს მივლინების ანგარიშების წარმოება; იმ მივლინებებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, უზრუნველყოს სათანადო დოკუმენტების მოძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - შესაბამისი პირების მიერ მოხდეს აღნიშნული თანხების კომპანიის ანგარიშზე დაბრუნება.

რეკომენდაცია N9

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს კომპანიის ადმინისტრაციული ოფისის დედაქალაქში ფუნქციონირების საჭიროება, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მომსახურების არეალს წარმოადგენს მხოლოდ რეგიონები.

რეკომენდაცია N10

საბანკო ანგარიშების სრულყოფილი კონტროლის განხორციელების მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ განსაზღვროს საბანკო ანგარიშების ოპტიმალური რაოდენობა, ხოლო სხვა ანგარიშები გააუქმოს დადგენილი წესით.

რეკომენდაცია N11

გაწეულ სამუშაოებთან მიმართებაში ფაქტობრივი დანახარჯების დადგენის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოს შპს „GM HIDRO“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების დაზუსტება.

რეკომენდაცია N12

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებზეც გაცემულია დანაკლისად აღიარებული ფასეულობები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული ფასეულობების დაბრუნების მიზნით. სამომავლოდ პერსონალზე მატერიალური ფასეულობების დროებით სარგებლობაში გადაცემისას მოახდინოს დოკუმენტის შედგენა, სადაც დაფიქსირდება მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და გადაცემული ფასეულობის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

რეკომენდაცია N13

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2549 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურსა და ურეკში მშენებარე საზოგადოებრივი ნაგებობების დასრულება და ექსპლოატაციაში მიღება, მათზე ადრე შესრულებული სამუშაოების უფრო მეტად განადგურებისაგან დაცვის მიზნით.

აუდიტის მიზანი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) 2013 და 2014 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: შემოსავლები; ძირითადი აქტივები; დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; შრომის ანაზღაურების, მივლინების, საიჯარო და წარმომადგენლობითი ხარჯები; საკუთარი სახსრებით განხორციელებული შესყიდვები.

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.01.2010 წლის N1-1/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წესდება
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N 69 და 2014 წლის 18 მარტის N233 დადგენილებები;
- „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის N 32 დადგენილება;

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამიანობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანიის 2013 და 2014 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნის გამოსატანად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების¹ საფუძველზე. კომპანია სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა სახელმწიფოს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N978 განკარგულების საფუძველზე, კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით, გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისათვის ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა. კომპანიის სტრუქტურაში შედის სათაო ოფისი, 6 რეგიონული ფილიალი და 50 სერვის ცენტრი.

წესდების თანახმად, კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- წყლის მოპოვება, მოსახლეობის, ორგანიზაციების და დაწესებულებების სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგება;
- წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების პროექტირება, მშენებლობა მონტაჟი, შეკეთება და ექსპლოატაცია;

კომპანია მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე, წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის² თანახმად შექმნილია მოგების მიღების მიზნით. თუმცა დაფუძნების დღიდან კომპანია ფუნქციონირებს სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსური დახმარების (სუბსიდიები და კაპიტალში შეტანილი ფულადი სახსრები) მეშვეობით, რომლის მოცულობამ 2015 წლის ჩათვლით შეადგინა 91 მლნ. ლარი. თუ არ გავითვალისწინებთ ზემოთაღნიშნულ დახმარებას, კომპანია ყოველ წელს ამთავრებს უარყოფითი ფინანსური შედეგით და მისი არსებობის მანძილზე ყოველწლიური ზარალი 10 მილიონი ლარიდან 76 მილიონ ლარამდე გაიზარდა. უარყოფითი ფინანსური შედეგების ზრდის ასეთი დინამიკა მომავალში ბუნებრივია წარმოქმნის კომპანიის ფუნქციონირების პრობლემას.

¹ 11.01.2010 წ. N1-1/13

² მუხლი 1; 2.

ცხრილში მოცემულია წლიური ფინანსური შედეგები დაარსებიდან 2015 წლის ჩათვლით (2013-2015 წლის მონაცემები წარმოადგენს საპროგნოზოს, ვინაიდან არ არის აუდირებული):

წელი	ფინანსური შედეგი		სამინისტროდან მიღებული ფულადი სახსრები		ზარალი სახელმწიფოს დახმარების გარეშე
	მოგება	ზარალი	სუბსიდია	შენატანი კაპიტალში	
2010	5,966,642		16,050,720		(10,084,078)
2011	1,949,968		10,444,250		(8,494,282)
2012	8,661,734		14,000,000		(5,338,266)
2013		7,040,195	12,500,000		(19,540,195)
2014		19,839,924		13,762,380	(19,839,924)
2015		76,346,162		24,270,309	(76,346,162)
ჯამი			52,994,970	38,032,689	(139,642,907)

აუდიტის პერიოდში კომპანიაში არ განხორციელებულა უარყოფითი ფინანსური შედეგების ანალიზი, არ დასახულა მათი აღმოფხვრის გზები და არ შემუშავებულა ხარჯების ოპტიმიზაციის გეგმა.

რეკომენდაცია N1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უარყოფითი ფინანსური შედეგები და გაანალიზოს მათი გამომწვევი მიზეზები. ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი ლარის დაზოგვის მიზნით, სამინისტრომ იმსჯელოს კომპანიის ხარჯების ოპტიმიზაციაზე და განიხილოს ყველა შესაძლო ალტერნატივა.

კომპანიის ბიზნეს-გეგმას ამტკიცებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. 2013 და 2014 წლების ბიზნეს-გეგმებში³ არ არის წარმოდგენილი კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (გამრიცხველიანების, ხარჯების ოპტიმიზაციის, ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებისა და ა.შ) და სამოქმედო გეგმა, რითაც უფრო გასაგები გახდებოდა კომპანიის მომავალი წლის პროგნოზები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

2013 წელს ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული იყო 796,943 ლარის მოგების მიღება. სამინისტროში წარდგენილი მცდარი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით წელი დასრულდა 4,955,500 ლარის ზარალით. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი რეალიზაციიდან ხელოვნურად იყო გაზრდილი 3,694,484 ლარით (საკუთარ შემოსავლებში ეს თანხა ასახულია ორჯერ), შესაბამისად, ზარალიც ნაცვლად 4,955,500 ლარისა უნდა ყოფილიყო 8,649,984 ლარი.

³ დამტკიცებულია სამინისტროს 2012 წლის 31 დეკემბრის N131/ო და 2013 წლის 30 დეკემბრის N156/ო ბრძანებებით

რეკომენდაცია N2

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობისა და სამომავლო გეგმების სრულყოფილი ანალიზის მიზნით, კომპანიის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილ ბიზნეს-გეგმებში მკაფიოდ აისახოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები.

1. შემოსავლები

წარმოდგენილი ინფორმაციით 2013 და 2014 წელს კომპანიას ჯამურად მიღებული აქვს 96,005,769 ლარის შემოსავალი შემდეგი საქმიანობებიდან:

შემოსავლები	2013	2014	სხვაობა
მომხმარებლებზე სასმელი წყლის მიწოდება	29,887,558	32,358,778	2,471,220
გამრიცხველიანება	3,694,484	1,347,148	(2,347,336)
წყალმომარაგების, წყალარინების ქსელზე მიერთება	772,244	1,038,582	266,338
სუბსიდიების აღიარება შემოსავალში	12,500,000	0	(12,500,000)
სხვადასხვა შემოსავლები	325,013	292,573	(32,440)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	4,050,819	9,738,570	5,687,751
ჯამი	51,230,118	44,775,651	(6,454,467)

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლების სიზუსტისა და სისრულის ანალიზით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

▪ უმრიცხველო აბონენტების სულადობის დადგენის კრიტერიუმები

აბონენტების სულადობის ცვლილება ხორციელდება კომპანიაში შექმნილი სულადობის დამდგენი კომისიის მიერ. ცვლილების საფუძველი შეიძლება იყოს აბონენტის მოთხოვნა ან კომპანიის მერ განხორციელებული ინსპექტირება. თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციით, 2013 და 2014 წლებში ასეთი სახის ინსპექტირება რეგიონულ სერვის ცენტრებს წერილობით⁴ დაევალა ერთხელ, რომელიც შეეხო მხოლოდ 0, 1 და 2 სულიან აბონენტებს. რამდენადაც სულადობრივ მონაცემებში ცვლილებების განხორციელება დამოკიდებულია ძირითადად აბონენტების მიერ ინფორმაციის წარმოდგენაზე, ხოლო ზემოთ აღნიშნული ინსპექტირება შეეხო აბონენტების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, კომპანიამ ვერ უზრუნველყო შემოსავლების სისრულის მტკიცების დადასტურება.

კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2014 წლის ბოლოს უმრიცხველო აბონენტების სულადობა არის შემდეგი:

სულადობა	აბონენტთა რაოდენობა
0 დან 10-მდე	155,468
10 დან - 50 მდე	600
51 დან - 100 მდე	22
100 ზემოთ	6

⁴ 01.11.2013 წლის N88994 წერილი

▪ **მრიცხველიან აბონენტებზე დარიცხვების რეალობა**

აუდიტის პერიოდში შეირჩა კომპანიის ისეთი 110 აბონენტი (იურიდიული პირი), რომლებზეც არ ხდებოდა წყლის გადასახადის დარიცხვა 2013 წლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ აბონენტებზე მოთხოვნილ იქნა მრიცხველების ფოტოსურათები, რათა მომხდარიყო მრიცხველის ნომრისა და ჩვენებების იდენტიფიცირება. შერჩეული 110 აბონენტიდან, კომპანიამ სურათი ვერ წარმოადგინა 101⁵ აბონენტზე, მათ შორის 34 აბონენტი ვერ მოიძებნა. წარმოდგენილი 9 სურათიდან გაირკვა, რომ 2 შემთხვევაში შეუსაბამო იყო ბილინგის სისტემაში არსებული და მრიცხველზე ფაქტობრივად არსებული ჩვენებები.

ცხრილში მოცემულია აქტიური აბონენტების (ფიზიკური პირების - როგორც მრიცხველიანი ასევე უმრიცხველო) რაოდენობა, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში არ ერიცხებოდა წყლის მომხარების საფასური და რომელთა რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 20%-ით. მიღებული განმარტებით, ასეთი აბონენტები არ სარგებლობენ კომპანიის მომსახურებით („სარგებლობს საკუთარი ჭით“ „არ მოიხმარს წყალს“, „დაკეტილია“ და ა.შ), თუმცა სათანადო დოკუმენტური დასაბუთება კომპანიამ ვერ წარმოადგინა:

2013	2014	2015
24,066	29,557	34,712

რეკომენდაცია N3

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შემოსავლების სრულად და ზუსტად აღრიცხვის მიზნით დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი აბონენტების გადამოწმებას, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ სარგებლობენ კომპანიის მომსახურებით. კონტროლის მექანიზმის დანერგვამდე კომპანიამ ჩაატაროს ამ კონტროლის დანერგვისთვის გასაწევი ხარჯებისა და მისგან მისაღები სარგებლის ანალიზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების სრულად აღრიცხვის მტკიცების დადასტურებას, რადგან მრიცხველის ჩვენებები, რომლებიც შედის ბილინგის ბაზაში აბონენტებისათვის წყლის გადასახადის დარიცხვის მიზნით არ არის სრული.

▪ **ქსელზე დაერთებით მიღებული შემოსავლები**

კომპანიის მიერ გამრიცხველიანებული აბონენტების ნაწილი ბილინგის პროგრამაში კვლავ სულადობრივ აბონენტებად არის აღრიცხული და შესაბამისად წყლის მოხმარების საფასურს კვლავ იხდიან სულადობრივად, ამავდროულად მათ მიერ არ არის გადახდილი გამრიცხველიანების საფასურიც. მიღებული განმარტებით, ამის მიზეზი არის სხვადასხვა ტექნიკური პრობლემა და მოსახლეობის პროტესტი. ცხრილში მოცემულია სხვაობები კომპანიის მიერ გამრიცხველიანებული აბონენტებისა და ბილინგის პროგრამის მონაცემებს შორის:

⁵ 41 - შენობის სურათი; 13 - გაუქმებული; 10 - სხვადასხვა მიზეზი; 3 - გაურკვეველი სურათი; 34 - არ იძებნება.

სერვის ცენტრი	ფაქტობრივად გამრიცხველიანებული	ბილინგის ბაზაში ასახული	სხვაობა	%
ხარაგაული	650	9	641	99%
ბაღდათი	1,252	125	1,127	90%
თეთრიწყარო	1,872	1,083	789	42%
ახმეტა	835	518	317	38%
ბოლნისი	4,457	3,612	845	19%
ჭიათურა	2,303	1,915	388	17%
თელავი	3,978	3,580	398	10%
კასპი	2,575	2,352	223	9%
დ/წყარო	6,620	6,059	561	8%
წყალტუბო	6,976	6,533	443	6%
ქუთაისი	31,094	30,717	377	1%

2. ძირითადი აქტივები

კომპანიის ბალანსზე რიცხული გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულებები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

წელი	31.12.2012	31.12.2013	31.12.2014
ძირითადი აქტივები	193,741,660	240,449,339	295,683,160

ინვენტარიზაცია:

კომპანიის დირექტორის 2013 წლის 9 აგვისტოს N174 ბრძანება ითვალისწინებდა კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას, გარდა მიწის ქვეშ არსებული კომუნიკაციებისა და ელექტროგადამცემი ხაზებისა. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა მატერიალური აქტივების როგორც დანაკლისი 573,903 ლარის ოდენობით, ასევე ზედმეტობა, თუმცა ინვენტარიზაციის აქტში დაფიქსირებული არ არის თუ რომელი და რა ღირებულების ძირითადი საშუალებების ზედმეტობა გამოვლინდა. ამასთან ერთად, სამინისტროს შემდგომი რეაგირების მიზნით⁶ ეცნობა⁷, რომ მატერიალური ფასეულობების დანაკლისმა შეადგინა 138,846 ლარი, რაც ინვენტარიზაციით გამოვლენილზე 435,057 ლარით ნაკლებია. სამინისტროს ასევე ეცნობა გამოვლენილი ზედმეტობის შესახებ, მაგრამ კონკრეტული მონაცემების გარეშე. მიღებული განმარტებით, აღნიშნულ საკითხს სამინისტროს მიერ რეაგირება არ მოჰყოლია და შესაბამისად ინვენტარიზაციის შედეგები კომპანიის აქტივებზე არ ასახულა.

⁶ კომპანიის წესდების მე-5, მე-7, მე-8 მუხლების, მინისტრის 2010 წლის 15 ნოემბრის N77/ო ბრძანების მე-3 მუხლისა და ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს შორის 2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შპს „საქართველოს გერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე, მეოთხე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად

⁷ N4541/1; 01.08.2014 წ.

საინვენტარიზაციო აქტში დანაკლისის სახით დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი მიწის ნაკვეთი 28,178 ლარის ღირებულებით, მაშინ როდესაც აუდიტის მიმდინარეობისას კომპანიამ ვერ მიაკვლია ბალანსზე რიცხულ 4,481,609 ლარის 13 მიწის ნაკვეთს. ასევე ვერ დგინდება მათი საკადასტრო კოდები. შესაბამისად კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს აქტივების არსებობის მტკიცების დადასტურებას. დანაკლისი მიწების ჩამონათვალი მოცემულია დანართ N1-ში.

რეკომენდაცია N4

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ საკუთრებაში არსებული აქტივების არსებობის დადგენის მიზნით, განახორციელოს ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება და საკუთრების რეგისტრაცია. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში განიხილოს დამფუძნებელთან, მათი შემდგომში ბალანსზე არსებობის საკითხი.

აქტივების აღრიცხვა:

■ მიწის საბალანსო ღირებულება 2013 წლის დასაწყისში შეადგენდა 65,793,020 ლარს, ხოლო 2014 წლის ბოლოს - 69,179,750 ლარს. საბალანსო ნაშთების შემოწმებისას აღმოჩნდა რომ კომპანიას 3,208,567 ლარის მიწა ზედმეტად აქვს ასახული აქტივებში. კერძოდ, კომპანიის ბალანსზე არსებული მიწა, ქ. ქუთაისში, გუგუნავს ქუჩა N12-ში, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 3,208,567 ლარს, არის 8,745,918 ლარის ღირებულების ქონების ნაწილი, რომელიც დამფუძნებელმა 2011 წლის 9 სექტემბრის ბრძანების⁸ საფუძველზე ამოიღო კაპიტალიდან. ბუღალტრულად კი კაპიტალიდან ამოღებულია მხოლოდ 5,537,350 ღირებულების ქონება.

რეკომენდაცია N5

საბალანსო ნაშთების სწორად წარმოდგენის მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მოახდინოს ბალანსზე ზედმეტად ასახული 3,208,567 ლარის მიწის კორექტირება ბუღალტრულ ჩანაწერებში.

■ კომპანიის აქტივებში ირიცხება 2010 წელს შესრულებული საპროექტო სამუშაო (გორში, სამეფო ქ. N2-ში მდებარე 503 მ² შენობის დაპროექტება და დიზაინი) რომელიც 2016 წლის 31 მარტის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული. პროექტში გადახდილია 16,126 ლარი (დღგ-ს გარეშე), თუმცა კომპანიაში არ მოიპოვება ინფორმაცია აღნიშნული პროექტის არსებობის შესახებ.

■ მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობების ღირებულება 2013 წლის დასაწყისში კომპანიის ბალანსის მიხედვით შეადგენდა 38,788,500 ლარს, ხოლო 2014 წლის ბოლოს 99,093,824 ლარს. აღსანიშნავია, რომ კაპიტალში შეტანილი ხაზოვანი ნაგებობების დიდი ნაწილის არათუ ზუსტი მდებარეობა, არამედ მილის დიამეტრიც კი არ არის ცნობილი. კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს, შესაბამისი აქტივების არსებობის და სისრულის მტკიცების დადასტურებას.

■ 2013-2014 წლებში კომპანიამ აუქციონით 178,928 ლარად გაყიდა მეორადი მიწები, 3,450 გრძივი მეტრი, რომელიც გაუქმებული ქსელიდან ამოიღო მყიდველმა, თუმცა ეს არ იყო ქსელის სრული მოცულობა, რადგან მიწების გარკვეული ნაწილის ამოღება შეუძლებელი აღმოჩნდა.

⁸ (N71/თ)

აღსანიშნავია, რომ მიღების გაყიდვის პარალელურად არ მომხდარა ქსელის შესაბამისი საბალანსო ღირებულების შემცირება. კომპანიისთვის უცნობია რა დიამეტრის მილები და ხაზოვანი ნაგებობების რომელი მონაკვეთებია ისეთი, რომელიც კომპანიის საქმიანობისთვის გამოუსადეგარია. აქედან გამომდინარე კომპანიის ქსელის ჯამური საბალანსო ღირებულება არასწორად არის წარმოდგენილი ბუღალტრულ მონაცემებში.

▪ 2013 წელს კომპანიამ სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისგან“ 231,635 ლარად⁹ შეისყიდა აზომვის მომსახურება. აზომვის მიზანი¹⁰ იყო კომპანიის კაპიტალში რიცხული წყალმომარაგებისა და წყალარინების ძველი ქსელების დაზუსტება და საჯარო რეესტრში კომპანიის საკუთრებად რეგისტრაცია. მსგავსი მომსახურება იგივე კომპანიისგან შესყიდულია 2014 წელსაც 143,428 ლარად¹¹. მიუხედავად იმისა, რომ აზომვითი სამუშაოები დასრულებულია და თანხა გადახდილია სრულად, ძველი ქსელები არ დარეგისტრირებულა საჯარო რეესტრში. კომპანიის განმარტებით, შესრულებული სამუშაოების გადამოწმება მიღება-ჩაბარების პროცესში კომპანიის მიერ არ განხორციელებულა, სათანადო კადრების და ტექნიკური აღჭურვილობის არქონის გამო. შემდგომ პერიოდში სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ მიერ შესრულებული სამუშაოების გადამოწმების მიზნით კომპანიამ საკუთარი ძალებით განახორციელა კასპის, საგარეჯოს, თელავის, გურჯაანის და ახმეტის წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები. მიღებული შედეგების საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ შესრულებულ სამუშაოებთან შედარებისას გამოიკვეთა სხვაობები როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა კომუნიკაციების კოორდინატებს შორის. ამასთან, 2013 წელს ქსელის აზომვის ღირებულება - 231,635 ლარი, კომპანიის მიერ აღიარებულია არასწორად, აქტივად ხარჯის ნაცვლად და დამატებულია ქსელის ღირებულებას.

რეკომენდაცია N6

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ 231,635 ლარის ღირებულების არასწორად ასახულ აქტივებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში მოახდინოს სათანადო კორექტირება.

რეკომენდაცია N7

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვერ სარგებლობს 375,063 ლარის ღირებულების აზომვითი სამუშაოების მასალებით, კომპანიამ უზრუნველყოს სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ მიერ შესრულებული აზომვითი სამუშაოების იმგვარად დაზუსტება, რომ შესაძლებელი გახდეს ძველი ქსელების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ზომები გაწეული ხარჯების დაბრუნების მიზნით.

⁹ დღგ-ს გარეშე

¹⁰ სამსახურეობრივი ბარათი N1-68071

¹¹ დღგ-ს გარეშე

3. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

ცხრილში მოცემულია 2013 და 2014 წლებში კომპანიის ბალანსზე არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ნაშთები.

	საწყისი ნაშთი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	საბოლოო ნაშთი
2013 წელი				
მოთხოვნები	19,858,764	54,191,803	42,850,056	31,200,510
ვალდებულებები	(6,124,620)	60,588,625	66,153,409	(11,689,403)
2014 წელი				
მოთხოვნები	31,200,510	63,196,826	45,571,876	48,825,460
ვალდებულებები	(11,689,403)	70,423,407	71,097,248	(12,363,245)

„საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების¹² მოთხოვნების მიუხედავად, 2013 და 2014 წლებში კომპანიას არ ჩაუტარებია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

კომპანიის ბუღალტრულ ჩანაწერებში ანგარიშზე „მოთხოვნები ფიზიკური და იურიდიული პირებიდან“ ხდება ფიზიკური, იურიდიული და იძულებით გადაადგილებული პირების მიერ მოხმარებული წყლის, ასევე ფიზიკური პირების გამრიცხველიანებიდან დაგროვილი დავალიანებების აღრიცხვა. ნაშთი ასევე მოიცავს იმ აბონენტთა დავალიანებებს რომლებიც დარეგისტრირდნენ 2012 წლამდე (კომპანიაში ბილინგის სისტემა დაწერგვამდე) და მათი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციას კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტი იღებს ბილინგის დეპარტამენტიდან, თუმცა ბილინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ზემოთ ჩამოთვლილ მონაცემებსა და საბუღალტრო მონაცემებს შორის ფიქსირდება შემდეგი სხვაობები:

	31.12.2012	31.12.2013	31.12.2014
„მოთხოვნები ფიზიკური და იურიდიული პირებიდან“	14,969,416	19,628,416	21,353,842
ბილინგის მონაცემები	14,898,202	19,039,849	20,948,598
სხვაობა	71,214	588,567	405,244

აუდიტის პროცესში 56 ორგანიზაციას გაეგზავნა დასტურის წერილები. აქედან პასუხი მიღებულია 19 ორგანიზაციისგან, სადაც 13 შემთხვევაში ფიქსირდება სხვაობები კომპანიის ბუღალტრულ მონაცემებთან მიმართებაში, კერძოდ, 2013 წელს აღნიშნულმა სხვაობებმა ჯამში შეადგინა 338,710 ლარი, ხოლო 2014 წელს - 278,165 ლარი.

¹² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მუხლი 13 და მუხლი 15

4. ხარჯები

შრომის ანაზღაურება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მიერ 2013-2014 წლებში გაცემული თანამდებობრივი სარგო და დანამატი:

2013 წელი	ხელფასი	დანამატი	დანამატი %
უმაღლესი ხელმძღვანელობა	222,942	416,075	187%
მრჩეველი	67,600	24,925	37%
დეპ უფროსები/მოადგილე	558,829	369,500	66%
სამსახურის უფროსები/მოადგილეები	1,617,164	307,583	19%
ს/ც მენეჯერი/მოადგილე	734,753	82,850	11%
ადმინისტრაცია	3,151,462	566,236	18%
სხვა დანარჩენი	8,275,236	1,095,222	13%
სულ	14,627,987	2,862,391	

2014 წელი	ხელფასი	დანამატი	დანამატი %
უმაღლესი ხელმძღვანელობა	257,380	183,850	71%
მრჩეველი	191,755	101,475	53%
დეპ უფროსები/მოადგილე	989,183	494,325	50%
სამსახურის უფროსები/მოადგილე	1,793,920	308,102	17%
ს/ც მენეჯერი/მოადგილე	924,979	70,118	8%
ადმინისტრაცია	4,060,245	528,910	13%
სხვა დანარჩენი	9,935,510	831,687	8%
სულ	18,152,972	2,518,467	

კომპანიის ხელმძღვანელობას 2013 წლის ივლისსა და დეკემბერში ჯამში მიღებული აქვს 219,650 ლარის დანამატი, რაც მათივე წლიური თანამდებობრივი სარგოს 99% შეადგენს.

თანამდებობა	ხელფასი	დანამატი (ივლისი)	დანამატი (დეკემბერი)
დირექტორი	4,000	20,500	29,000
დირექტორის პირველი მოადგილე	3,000	12,250	25,500
დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში	2,700	11,650	21,450
დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ საკითხებში	2,700	11,650	21,450
დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში	2,700	11,650	21,450
დირექტორის მოადგილე ტექნიკურ და ოპერირების საკითხებში	2,700	11,650	21,450

ქვეყნის გარეთ მივლინებები

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ კომპანიაში არ წარმოებს მივლინების ანგარიშები.

- მივლინების ხარჯებზე, რომელიც შეადგენს 8,613 ლარს, არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები:

თარიღი	ბრძანება	თანხა
01.03.2013	04/151	5,452
12.06.2013	04/539	888
01.11.2013	04/1296	2,273

რეკომენდაცია N8

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მივლინების ხარჯების მიზანშეწონილობის შესაფასებლად, დანერგოს მივლინების ანგარიშების წარმოება; იმ მივლინებებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, უზრუნველყოს სათანადო დოკუმენტების მოძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - შესაბამისი პირების მიერ მოხდეს აღნიშნული თანხების კომპანიის ანგარიშზე დაბრუნება.

2013 წლის 22 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით ნიუ იორკში მივლინებული იყვნენ კომპანიის დირექტორი და დირექტორის პირველი მოადგილე, ინფრასტრუქტურის მე-6 საერთაშორისო ფორუმზე მონაწილეობის მისაღებად. ფორუმში გაიმართა 27 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით. ერთი მონაწილის დასწრების საფასური ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 1,150 ლარს. მონაწილეების მიერ კომპანიაში წარმოდგენილი არ არის ფორუმში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

- 2013-2014 წლებში ქვეყნის გარეთ მივლინებებზე ლიმიტს ზემოთ ანაზღაურებულია 6,042 ლარი, რომელიც არ არის დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადით.

თარიღი	ბრძანება	თანხა
01.03.2013	04/151	1,952
11.05.2013	04/539	300
01.11.2013	04/1296	585
20.11.2013	04/1399	500
14.02.2014	04/151	850
01.05.2014	04/530	1,125
30.05.2014	04/712	730

- 2014 წელს ინფრასტრუქტურის საერთაშორისო ფორუმზე დასასწრებად კომპანიიდან მივლინებულია 3 თანამშრომელი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (ფორუმზე დასასწრები მოსაკრებელი გადახდილია მხოლოდ 2 თანამშრომელზე) ფორუმს ესწრებოდა მხოლოდ 2 თანამშრომელი. კომპანიამ ვერ წარმოადგინა განმარტება თუ რატომ არ დაესწრო მესამე თანამშრომელი ფორუმს, რომელზეც აღნიშნული მივლინებისთვის გაიხარჯა 5,100 ლარი.

იჯარის ხარჯები

2013 წლამდე კომპანიის ადმინისტრაციული ოფისი მდებარეობდა ქ. თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე¹³. 2013 წლის თებერვალში კომპანიამ შეიცვალა ადმინისტრაციული ოფისი და განთავსდა ვაჟა-ფშაველას N76 „ბ“-ში მდებარე შენობაში. მიმდინარე აუდიტისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ოფისის ცვლილების საფუძველი იყო კომპანიის საკადრო და მატერიალური რესურსების ზრდა. 2012 წლის დასაწყისიდან 2013 წლის ბოლომდე კომპანიის ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 54%-ით, მაშინ როდესაც წყლის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 3%-ით.

აღსანიშნავია, რომ კომპანია ძველ ოფისში იჯარით აღებულ ფართში 1 მ²-ში იხდიდა 7.6 აშშ დოლარს (საიჯარო ფართი - 1631 მ², საიჯარო ქირა - 12,450 აშშ დოლარი), ხოლო ახალ ოფისში - 15 აშშ დოლარს (საიჯარო ფართი - 1,899 მ², საიჯარო ქირა - 28,485 აშშ დოლარი¹⁴). აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიას ძველ ადმინისტრაციულ ოფისში დარჩენის შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში დაზოგავდა 0.5 მლნ ლარზე მეტს.

კონკრეტული განმარტება იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია კომპანიის ადმინისტრაციული საკადრო რესურსის ზრდა ზემოთაღნიშნული მოცულობით, კომპანიამ ვერ წარმოადგინა.

რეკომენდაცია N9

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს კომპანიის ადმინისტრაციული ოფისის დედაქალაქში ფუნქციონირების საჭიროება, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მომსახურების არეალს წარმოადგენს მხოლოდ რეგიონები.

საბანკო ანგარიშები

2013-2014 წლებში კომპანიას სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილი ქონდა 113 ანგარიში. საიდანაც 16 ანგარიშზე ბრუნვა არ ფიქსირდება.

საბანკო ანგარიშების დიდი რაოდენობა რისკის შემცველია კომპანიის შიდა კონტროლის თვალსაზრისით. ამასვე ადასტურებს 2013 წელს ერთ-ერთი საბანკო ანგარიშიდან უკანონო ხარჯების გაწევა, რის შედეგადაც კომპანიამ დაკარგა 2,227,887 ლარი, რომელზეც აღიმრა სისხლის სამართლის საქმე და სასამართლო განაჩენი ძალაში შევიდა.

რეკომენდაცია N10

საბანკო ანგარიშების სრულყოფილი კონტროლის განხორციელების მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ განსაზღვროს საბანკო ანგარიშების ოპტიმალური რაოდენობა, ხოლო სხვა ანგარიშები გააუქმოს დადგენილი წესით.

¹³ შპს „ტიფლის სიტი“-სთან და შპს „ოლიმპი თბილისი“-თან გაფორმებული ხელშეკრულებები

¹⁴ 2015 წელს საიჯარო ფართი გახდა 2,534 მ², ხოლო ქირა - 38,000 აშშ დოლარი

5. შესყიდვები

კომპანია აუდიტის პერიოდში შესყიდვებს ახორციელებდა როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სპეციალური წესით, რომლის მიზანი იყო შესყიდვის პროცედურების გამარტივება. შესყიდვების კანონის მიხედვით, საწარმო სპეციალური წესით ახორციელებს თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვას. თუმცა, კომპანიისათვის 2013-2014 წლებში დამტკიცებული სპეციალური წესი (მასში არსებული შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ნუსხა), კომპანიას საშუალებას აძლევდა ასევე შეესყიდა არასპეციფიკური საქონელი და მომსახურება, მაგალითად - საოფისე საქონელი, ავტომანქანები, ტელეფონები, და ა.შ.

აღნიშნული სპეციალური წესით შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ნუსხა მნიშვნელოვნად შემცირდა 2015 წლიდან.

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N472 განკარგულების საფუძველზე კომპანიას გამარტივებული წესით უნდა შეესყიდა სხვადასხვა ქალაქებში მოსახლეობის გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული წყალმომარაგების კვანძების მოწყობის სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის განკარგულება გამოცემულია სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შესრულების მიზნით, განკარგულების ფარგლებში გაფორმებული ოთხი ხელშეკრულებიდან, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენდა 1,012,836 ლარს, სამი (772,836 ლარი) გაფორმდა განკარგულების გამოცემიდან მნიშვნელოვანი დავიანებით, მათ შორის ერთი - ცხრა თვის შემდეგ. შესაბამისად, ვერ დასტურდება სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვის აუცილებლობა.

- კომპანიამ, 2014 წლის 30 სექტემბერს დაბა ბაკურიანში ხელოვნური თოვლის წარმოების მიზნით, წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გამარტივებული ფორმით გააფორმა 379,013 ლარის ღირებულების ხელშეკრულება შპს „GM HIDRO“-სთან. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2014 წლის 25 დეკემბრამდე.

კომპანიის მიერ ანაზღაურებულია კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების 90%, თუმცა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ ვერ დაადგინა¹⁵ რამდენად შეესაბამება გადახდილი თანხა ფაქტობრივ დანახარჯებს, რადგან მიმწოდებელმა ექსპერტიზას ვერ წარუდგინა შესრულებული სამუშაოების ანგარიშები ეკონომიკის მინისტრის 12.02.2012 წლის N1-1/1463 ბრძანების შესაბამისად.

ასევე აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე დღით თარიღდება წარმოდგენილი ყველა ფარული სამუშაოს აქტი.

რეკომენდაცია N11

გაწეულ სამუშაოებთან მიმართებაში ფაქტობრივი დანახარჯების დადგენის მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოს შპს „GM HIDRO“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების დაზუსტება.

¹⁵ 2015 წლის 9 სექტემბრის N5004578915 წერილი

- კომპანიას 2013 წელს, შპს „გუდვილისგან“ განხორციელებული აქვს 62 შესყიდვა ჯამური თანხით 13,988 ლარი. არცერთ მათგანზე არ არის წარმოდგენილი სათანადო მოხსენებითი ბარათი, შესაბამისად ვერ დასტურდება აღნიშნული შესყიდვების მიზნობრიობა.
- 2013 წლის 12 სექტემბერს კომპანიამ 127,866 ლარად შეისყიდა იმავე წელს გამოშვებული მაღალი გამავლობის ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200“, რომელიც ემსახურებოდა კომპანიის დირექტორს. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის სექტემბრამდე კომპანიის დირექტორზე განპიროვნებული იყო ასევე მაღალი გამავლობის ავტომანქანა, 2011 წელს გამოშვებული „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო“. მოხსენებითი ბარათში¹⁶ რომლის საფუძველზეც განხორციელდა შესყიდვა, აღნიშნულია, რომ კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე აუცილებელი იყო მაღალი გამავლობის მქონე ერთი ავტომანქანის შესყიდვა. იმავე ბარათში არ არის მითითებული კონკრეტულად რამ განაპირობა (კომპანიის რომელ სტრუქტურას შეექმნა მაღალი გამავლობის ავტომანქანის დეფიციტი) კომპანიის მიერ ასეთი ძვირადღირებული ავტომანქანის შესყიდვის საჭიროება. მით უმეტეს, რომ 2014 წლის ნოემბერში აღნიშნული ავტომანქანა გადაეცა¹⁷ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნული ავტომანქანა გადასცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომელსაც მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა ისეთი ღირებულების ავტომანქანით¹⁸, რასაც ზღუდავდა მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება.
- 2013 წლის 31 ივლისის ხელშეკრულების¹⁹ საფუძველზე შპს „ჰაუსარტ პროექტს“ უნდა შეედგინა კომპანიის ახალი სათაო ოფისის²⁰ შენობის საპროექტო დოკუმენტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 150,000 ლარის ოდენობით (აღსანიშნავია, რომ კომპანიას უკვე გააჩნდა შპს „ჰაუსარტ პროექტის“ მიერ 2012 წელს მომზადებული სათაო ოფისის პროექტი 70 ათასი ლარის ღირებულებით). შპს „ჰაუსარტ პროექტს“ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის²¹ საფუძველზე კომპანიის მიერ აუნაზღაურდა 149,850 ლარი²², თუმცა, თბილისის არქიტექტურის სამსახურის N974180 გადაწყვეტილებით წარმოდგენილი პროექტი არ შეესაბამებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაბამისად მშენებლობაზე ნებართვა არ გაიცა. აღნიშნულის შემდგომ კომპანიის სათაო ოფისის შენობის განთავსება გადაწყდა სხვა მისამართზე, თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ს/კ 01.14.06.006.033) და 2014 წლის 18 ივლისს გაფორმდა 29,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება²³ ისევ შპს „ჰაუსარტ პროექტთან“. ხელშეკრულების მიზანი იყო კომპანიის სათაო ოფისის შენობის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ცვლილების შედეგად გამოწვეული კორექტირებული საინჟინრო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. სამუშაოს შესრულების ვადად საბოლოოდ განისაზღვრა 2014 წლის 15 სექტემბერი. შპს „ჰაუსარტ პროექტმა“

¹⁶ N1-72416; 09.09.2013 წ.

¹⁷ მინისტრის 26/11/2014 წლის N145/ო ბრძანებისა და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის N001/023 საფუძველზე, კომპანიის კუთვნილი ავტომანქანა Toyota Land Cruiser-ი 120,288 ლარის ღირებულებით შეტანილ იქნა კომპანიის კაპიტალში და იმავე ბრძანებით ამოღებული იქნა კაპიტალიდან.

¹⁸ აღნიშნული ავტომანქანის ღირებულება სამინისტროზე გადაცემის დროს შეადგენდა 65 ათას აშშ დოლარზე მეტს, მაშინ როდესაც მთავრობის N121 დადგენილებით სამინისტროსთვის მაღალი გამავლობის ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულება შეადგენდა 47 ათას აშშ დოლარს

¹⁹ N02-073105 ; 31.07.2013 წ

²⁰ თბილისში ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ. ნაკვეთი 09/107; საკადასტრო კოდი: 01.10.18.009.107

²¹ N02-073105; 01.09.2013 წ.

²² 150 ლარი - ჯარიმა ერთი დღით გვიან დასრულებისთვის

²³ 02-071805

გათვალისწინებული ვადაში ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მოხვდა შესყიდვების სააგენტოს „შავ სიაში“. მიუხედავად ამისა კომპანიამ ცალმხრივად არ შეწყვიტა ხელშეკრულება და წელიწად-ნახევრის შემდეგ, 2015 წლის 29 დეკემბერს ჩაიბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და კონტრაქტორს აუნაზღაურა 27,666 ლარი.

ფაქტობრივად, შპს „ჰაუსარტ პროექტისთვის“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2012-2015 წლებში კომპანიას გადახდილი აქვს 247,516 ლარი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ბოლოსათვის არ დაწყებულა.

შპს „დაგისტან“ 2015 წლის 1 დეკემბერს გაფორმებული კონტრაქტის თანახმად კომპანიის სათაო ოფისის მშენებლობის ვადად განისაზღვრა წელიწად-ნახევარი.

იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა დაიწყებოდა 2013 წლის დასაწყისში (2012 წელს შესრულებული პროექტის საფუძველზე) და დასრულდებოდა ზემოაღნიშნულ ვადაში, კომპანია დაზოგავდა 1 მილიონ ლარზე მეტ საიჯარო ქირის ხარჯს.

- კომპანიის მიერ 2013-2014 წლებში შესყიდული ტელეფონებისა და კომპიუტერული ტექნიკის ანალიზის შედეგად გამოვლინდა 18 ერთეული ტექნიკის დანაკლისი, რომელთა იდენტიფიცირება, კომპანიის განმარტებით ვერ ხერხდება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ საერთო დანაკლისი განისაზღვრა დაკარგული ტექნიკის სახეობის უმცირესი ფასით და შეადგენს 16,829 ლარს. ტექნიკის ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

დასახელება	ერთეული ღირებულება	რაოდენობა	ჯამი
Iphone 5 16 GB	1,280	5	6,400
პლანშეტები Ipad mini 16 GB	900	5	4,500
პორტატული კომპიუტერი ASUS	1,589	1	1,589
პორტატული კომპიუტერი LENOVO	620	7	4,340

რეკომენდაცია N12

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებზეც გაცემულია დანაკლისად აღიარებული ფასეულობები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული ფასეულობების დაბრუნების მიზნით. სამომავლოდ პერსონალზე მატერიალური ფასეულობების დროებით სარგებლობაში გადაცემისას მოახდინოს დოკუმენტის შედგენა, სადაც დაფიქსირდება მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და გადაცემული ფასეულობის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

- 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულების²⁴ საფუძველზე შპს „ჰიდრომშენს“ უნდა შეესრულებინა სენაკის მუნიციპალიტეტში წყლის სათავე ნაგებობის შემკრები რეზერვუარისა და საქლორატოროს სმშენებლო სამუშაოები. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 323,576 ლარს, ხოლო სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2014 წლის 20 ოქტომბრამდე. შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი 2014 წლის ბოლომდე არ გაფორმებულა.

²⁴ NT-032001

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 15 მარტის დასკვნის²⁵ თანახმად, შპს „ჰიდრომშენის“ მიერ შესრულებული სამუშაოების გარკვეული ნაწილი, რომელთა ღირებულება შეადგენდა 170,144 ლარს, არ შეესაბამებოდა სატენდერო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებს, რაზეც არ იყო მიღებული საპროექტო ორგანიზაციის თანხმობა. შესაბამისად, ექსპერტიზა არ ჩაუტარდა ცვლილებებით განხორციელებულ სამუშაოებს და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 151,619 ლარის ოდენობით. კომპანიას კონტრაქტორისათვის აღნიშნულ დასკვნამდე, უკვე ანაზღაურებული ქონდა 290,096 ლარი (90%).

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 4 მაისის დასკვნის²⁶ თანახმად, კი ზემოაღნიშნული, ცვლილებებით განხორციელებული სამუშაოები შეესაბამებოდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებს და მათი ღირებულება შეადგენდა 153,726 ლარს (წინა ექსპერტიზის მიერ არჩათვლილი სამუშაოების ღირებულებაზე 16,418 ლარით ნაკლებს). ხელშეკრულების საფუძველზე დასაკავებელი 2,5 %-ის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ დარჩენილი გადასახდელი თანხა შეადგენდა 7,615 ლარს, რაც კონტრაქტორს აუნაზღაურდა 2015 წლის 17 ივნისს.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის მეორე დასკვნაში არაფერია ნათქვამი შესრულებული სამუშაოების საპროექტო ხარჯთაღრიცხვასთან შეუსაბამობის ან მათი აღმოფხვრის შესახებ.

▪ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2549 განკარგულებით კომპანიას დაევალა სხვადასხვა რეგიონებში საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობა.

2012 წლის 8 აგვისტოს შპს „ოქტან-მედიასთან“ გაფორმდა N01-080801 ხელშეკრულება, ჩოხატაურსა და ურეკში 2 ერთეული საზოგადოებრივი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

მიმდინარე აუდიტისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, კონტრაქტორი სამუშაოთა შესრულების ვადების დარღვევის გამო, დაჯარიმდა და 2013 წლის დასაწყისში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „შავ სიაში“.

2014 წლის ბოლოს აღნიშნული ობიექტები არ იყო დასრულებული და შესაბამისად არ გაფორმებულა სათანადო მიღება-ჩაბარების აქტები. კონტრაქტორისათვის გადახდილი თანხა შეადგენს 61,900 ლარს. აუდიტის მიმდინარეობისას ეთხოვა კომპანიას, წარმოედგინა ინფორმაცია აღნიშნული ობიექტების დღემდე დაუსრულებლობისა და მათი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. დაუსრულებლობის შესახებ კომპანიამ ინფორმაცია ვერ წარმოადგინა. რაც შეეხება ობიექტების დღევანდელ მდგომარეობას, წარმოდგენილი განმარტებით ობიექტების მშენებლობა დასრულების სტადიაშია, თუმცა ზოგიერთ ადგილზე შეინიშნება ფიზიკური და ატმოსფერული ნალექების შედეგად გამოწვეული დაზიანებები.

რეკომენდაცია N13

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2549 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურსა და ურეკში მშენებარე საზოგადოებრივი ნაგებობების დასრულება და ექსპლოატაციაში მიღება, მათზე ადრე შესრულებული სამუშაოების უფრო მეტად განადგურებისაგან დაცვის მიზნით.

²⁵ N001246515

²⁶ N002514915

შპს „სტუდიო ლაინის“ მიერ 2014 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა კომპანიის საიმიჯო კლიპის გადაღება. რომლის ღირებულებამაც შეადგინა 33,900 ლარი, თუმცა აღნიშნული კლიპი კომპანიის მიერ აუდიტის პერიოდში არ გამოყენებულა.

დანართი N1

ცხრილში მოცემულია მიწის ნაკვეთები, რომლებიც შეტანილია კაპიტალში, აღრიცხულია აქტივებად მაგრამ კომპანია ვერ ახერხებს მათ იდენტიფიცირებას:

დასახელება	სერვისცენტრი	მ²	ღირებულება
სანიტარული ზონა ფოთი	ფოთი	5	4,082,400
მიწის ნაკვეთი რკინიგზის	ფოთი	3,323	251,224
მიწის ნაკვეთი (ქონების მართვა)	ლაგოდეხი	-	30,024
მიწა (დამატებულია)	გორი	-	28,178
ქიქორეთის წყალსადენზე დამაგრებული მიწა	ონი	16,891	21,114
მიწა	სამტრედია	7,260	20,328
ქ. ბოლნისში სასმელი წყლის რეზერვუარის ტერიტორიის ფართი	ბოლნისი	-	19,440
მიწა	ახალქალაქი	41,700	15,012
მიწის ნაკვეთი მარტვილი გაჭედული	ფოთი	700	4,500
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა კობახიძის N7736	ამბროლაური	736	2,833
ჭაბურდ. ტერიტორია 16;17;18;21;22;24	ლაგოდეხი	-	2,245
სასაწყობო მიწა	აბაშა	137	2,165
ჭაბურღილების ტერიტორია 25; 26; 27; 28;	ლაგოდეხი	-	2,146
სულ		70,752	4,481,609

აუდიტორთა ხელმოწერები:

ქართლოს სახვადე

თეონა ავალიანი

შმაგი ჯოჯიშვილი

ირაკლი ბაჩიაშვილი

მირიან შარიქაძე

სიმონ კიპაროძე